



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N7

ქალაქი ბათუმი

2022 წლის 29 ნოემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ასლან ბალაძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| თეონა ბერიძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
კახაბერ ქაშიბაძე	- საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ნოდარ დუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვის-სეზის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე.

ასავე ესწრებოდნენ:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) აჭარის ფილიალის თავმჯდომარე - პაატა დიასამიძე;
- მოქალაქეები: გოჩა გუგუნავა, მარიამ სურმანიძე, ლიანა ჩამბა, მათე გოლიაძე, გვანცა ჯორთმენაძე, მაგდალენა გოლიაძე და ნიკო აფხაზავა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;
- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ. მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დღის წესრიგით განსახილველ საკითხებზე გადასვლამდე აღნიშნა საკრებულოში განხორციელებული თანამდებობრივი ცვლილებების შესახებ, კერძოდ: საკრებულოს წევრის, ნონო ცხვარაძის მიერ 2022 წლის 31 ოქტომბერს საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის, ამავე ფრაქციის წევრობის დატოვებისა და ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ლევან დოლიძის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ 7 საკითხთან დაკავშირებით კითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა მოითხოვა დღის წესრიგით განსახილველ მესამე საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დასწრება საკრებულოს სხდომაზე, რადგან სამსახურის უფროსის განმარტება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს ამ 78 მილიონიან საკითხთან მიმართებაში.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა ქობულაძემ ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ არ განიხილავენ დღის წესრიგის საკითხებს და არ მიიღებენ საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობას.

საკრებულოს ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა საკრებულოს სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 3. „ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსათვის“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

საკითხი 5. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მეგი ხალვაში)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ.N6-ში მდებარე შენობაზე ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (თ.ხარაზი, ვ.დარჩია)

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით განსახილველი მესამე საკითხი, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, პირდაპირ ქართული ოცნების კომპანიას უნდა მოარგოთ. შესაბამისად, ვერ მიიღებს საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობას.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა დატოვა საკრებულოს სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ დღის წესრიგით განსახილველი მესამე საკითხი, უმნიშველოვანესია და ეხება ბათუმში არსეულ ავარიულ სახლებს, სადაც მცხოვრები მოსახლეობა ელოდება ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს. როცა ერთის მხრივ საუბრობ ქალაქის მერის დასწრებაზე და მეორეს მხრივ ტოვებ სხდომას, ეს არ არის არანაირად გასამართლებელი.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ ისაუბრა თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების ინიცირების თაობაზე და აღნიშნა, რომ უმრავლესობამ საქართველოს პარლამენტში, რატომღაც გადაწყვიტა, რომ თვითმმართველობის კოდექსში შეიტანოს ცვლილება და ის პრაქტიკა, რასაც ეს წარმომადგენლობითი დემოკრატია გულისხმობს, გადადოს გვერდზე და კოდექსი მოარგოს იმ წაგებულ ოლქებს, წაგებულ მუნიციპალიტეტებს. პროცედურულად განმარტა: ჩვენ, როგორც საკრებულოს წევრებს გვაქვს უფლება იმისა, რომ მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი არ მოვისმინოთ, დავაბრუნოთ შენიშვნებით და შეიძლება უმრავლესობაშიც არ არსებობდეს კონსენსუსი მერის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტზე და ამის საპასუხოდ ახალი ცვლილებების შემდეგ მერი იტოვებს უფლებამოსილებას, რომ საკრებულო დაითხოვოს, ანუ საკრებულოს წევრები, რომ ვერ შეთანხმდეთ ბიუჯეტის ავკარგიანობაზე, ქალაქის მერი მიიღებს გადაწყვეტილებას. თქვენ, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს გამომხატველ წევრებს ბათუმის საკრებულოში, ისევე როგორც სხვა საკრებულოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც აქამდე არ ჰქონია მერს, ვუზრდით ამ უფლებამოსილებას და ვამღებთ იმის საშუალებას კანონპროექტის საფუძველზე, საკრებულო დაითხოვოს. ყველა საერთაშორისო კოდექსში, თუ მემორანდუმში წერია, რომ თვითმმართველობა უნდა გავამდიეროთ და საკრებულოს როლი გამოვაჩინოთ მაქსიმალურად იმიტომ, რომ მათ შორის ჩვენ თუ ვსაუბრობთ კოალიციაზე, ვსაუბრობთ იმაზე, რომ სხვადასხვა პარტიები, სხვადასხვა პოლიტიკური პლურალიზმი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მეტნეკლებად დადგება და ამ გადაწყვეტილებით ქართული ოცნების უმრავლესობა ამას კლავს, მომავალს უკლავს რადაცნაირი პრაქტიკა ამ მიმართულებით იყოს და ეს ეხება კონკრეტული მუნიციპალიტეტების ცვლილებას. ქართულ ოცნებას არ უნდა, რომ ჩაატაროს არჩევნები რუსთავეში, ზუგდიდში და სწორედ ამიტომ აკეთებს ამ კანონპროექტში ცვლილებას. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს იმსჯელონ ამ არასწორ ცვლილებაზე, რაც არის თვითმმართველობის კოდექსზე ხაზის გადასმა.

საკრებულოს წევრმა, ნინო ცხვარაძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან სხდომის დატოვება არის ცუდი ტონი, გამოდის, რომ ისინი ამ ქალაქის მოსახლეობაზე და მათ კეთილდღეობაზე არ ზრუნავენ.

საკრებულოს წევრი, ნატალია ძიმიგური დაეთანხმა საკრებულოს წევრის, ვაჟა დარჩიას თემას და განაცხადა, რომ ეს საჭირობოროტო საკითხი ძირეულად ანგრევს ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობის აზრს. 2021 წლის არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის დაკვეთაა მრავალპარტიული, ძლიერი საკრებულო, რომელიც ანგარშვიალდებულია მოსახლეობის წინაშე, ის რაც ეხლა არის პარლამენტში დაინიცირებული ანგრევს ადგილობრივი თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის იდეას, ანგრევს იმ მიდგომას, რაც ნიშნავს მაკონტროლებელი პოლიტიკური ორგანოს იდეას, რომელიც არის კოლეციალური. პროცესი, რომელიც ადგილობრივი არჩევნების შემდგომ მიმდინარეობდა საქართველოში, ეს ერთგვარი ინდიკატორია იმისა, როგორ შეგვიძლია ჩვენ თანამშრომლობა, კონსენსუსის მიღწევა, სახელმწიფოებრივ საკითხებზე თანამშრომლობა პოზიცია-ოპოზიციას, ეს ერთგვარი ინდიკატორია. ეს საერთო პოლიტიკური სპექტრის პრობლემაა. ჩვენ თუ არ გადავვებით პოლიტიკის კეთების უფრო მაღალ საფეხურზე, ჩვენ წინ ვერ წავალთ, ვერ შევქმნით იმ ევროპულ სამაგალითო ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ჩვენ

ევროპული ქარტიით, ხელშეკრულებებით, კოდექსით განსაზღვრული გვაქვს და რომლისკენ მივისწრაფვით. ჩვენს მოსახლეობას სჭირდება ქმედითი, ძლიერი, მრავალპარტიული საკრებულო და ის, რომ ჩვენ უნდა გადავიდეთ პოლიტიკის კეთებაზე, ეს ნათელია და ცხადყოფს იმას, რომ ჩვენ უნდა გადავიდეთ მაღალ საფეხურზე, ერთმანეთთან ურთიერთობებით, კონსესუსით და დიალოგით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნატალია ზოიძე გამოეხმაურა თვითმმართველობის კოდექსის ცვლილებას და აღნიშნა, რომ საკითხი შეიძლება იყოს დაინიცირებული საქართველოს პარლამენტში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარდაჭერილი იქნება. როგორც არასდროს, დღეს ზუსტად ისეთი ძლიერია თვითმმართველობა. 2004 წელში რომ იყო მცდელობა თვითმმართველობის გაძლიერების 2006 წელში შეაჩერეს, შესაბამისად 2014 წლიდან რომ დაიწყო თვითმმართველობის გაძლიერების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, ჯერ რამდენადაც ვიცი ამ კურსისთვის არ გადაუხვევიათ და თუ რაიმე კონკრეტულზეა საუბარი ვთვლი, რომ მხოლოდ ზეპირი სიტყვებია. რადგან სხვა არგუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი, ალბათობის თეორიით არ ვილაპარაკებ, არსებობს მეცნიერება „დარწმუნების თეორია“, სადაც არის არგუმენტირებაზე საუბარი და არგუმენტირების სამი ფორმა არსებობს: ეთოსი, პათოსი, ლოგოსი. რატომღაც საქართველოში, მარტო პათოსია მიღებული, ეთოსი და ლოგოსი იგნორირებულია. ახალგაზრდა თაობა არგუმენტირებულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მოსახლეობას.

ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 25 ნოემბრის შემდეგ დაწყებულია ქალთა ძალადობის აღმოფხვრის ნარინჯისფერი გლობალური კამპანია, რომელშიც ჩართულია ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო. განსაზღვრულია სვადასხვა აქტივობები და დღეს 29 ნოემბერს, ამ ღონისძიებების კალენდრით არის უფლებადამცველ ქალთა დღე. პირველი ქართველი პარლამენტარი ქალების გამოსახულების მაისურებით გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები გარკვეულ „პერფორმანს“ (წარმოდგენას) მოაწყობენ. ამავე დროს ლუკა ასათიანის სახელობის სხდომათა დარბაზში 17.00 საათზე წარმოდგენილი იქნება ფილმი პირველ ქალ უფლებადამცველებზე. ფილმს ქვია „სუფრაჟისტები“ (ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება). დაგეგმილია ფილმის საჯარო ჩვენება, ასევე იქნება პირდაპირ „ლაივსტრენინგი“ გადაცემაც. მან დამსწრეთ მოუწოდა სურვილისამებრ მონაწილეობისაკენ.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ორი დღეა ჟურნალისტები დაინტერესებული არიან საკითხით, რომელიც ეხება ეგრეთ წოდებული „პრომინატის“ (ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედით სავალი ბილიკი) მოწყობას და გააკეთა შემდეგი განმარტება: უშუალოდ ვიყავი ჩართული ამ პროექტებში და საკმაოდ დიდი ხანია, 30 წელიწადია ვტრიალებ აკადემიურ წრეებში. კერძოდ, საინჟინრო აკადემია და საინჟინრო აკადემიის 7-8 აკადემიკოსი, რომელიც ზღვის შლეიფის ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციალისტები არიან, აფრთხილებდნენ თავის დროზე მაშინდელ ხელისუფლებას, რომ არ შეიძლება ამ სამუშაოების ჩატარება, ვიდრე არ იქნება გამოკვლეული, თუ რა ტიპის ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა იქნას გაკეთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველივე შტორმის შემდეგ ჩვენ მივიღებთ სავალალო შედეგს. ეს იყო პროფესორის, სპეციალისტების, ექსპერტების განცხადებები და მოწოდება მაშინდელი ხელისუფლების მიმართ, მიუხედავად ამისა მათ ჩაყარეს ძალიან დიდი თანხა ამაში და ეხლა ჩვენი მიმართულებით არის საყვედურები. ეს არის სწორედ მათი ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულის შედეგი.

ასევე დამსწრეთ შეახსენა, რომ მაშინდელ პრეზიდენტს ქონდა სურვილი 300 მილიონად გაეკეთებინა ოქროს ქვიშის პლიაჟი, პირველივე შტორმზე იმ 300 მილიონს წაიღებდა წყალი, მაგრამ რადგან ჩვენი ხელისუფლება მოვიდა პროექტის განხორციელება არ დასცალდათ.

ასევე თვითმმართველობის კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როცა რაღაცას ამოიკითხავთ, რაც თქვენი აზრით არის კონკრეტულ რისკებთან დაკავშირებული, იქვე უნდა ამოიკითხოთ იმის საწინააღმდეგო მეორე მუხლებიც, რაც საკრებულოს გვამღევს

საშუალებას გამოვაცხადოთ იმპიჩმენტი. ცვლილება რომელსაც ხელისუფლება ღებულობს, ბათუმის საკრებულო არის ამის მაგალითი, რომ რა რისკების წინაშე დადგებოდა ქალაქი, რომ არ მიღებულიყო ბიუჯეტი. ეს იყო აბსოლიტურად სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება. სწორედ ამ პოლიტიკური რისკების დაზღვევის მიზნით კეთდება ეს ცვლილება და ეს ყველა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველანაირი პოლიტიკური რისკისგან და პოლიტიკური რყევებისგან დაიცვას ქვეყანა, რეგიონი და ქალაქი.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ ისაუბრა ქვეყანაში არსებული უმძიმესი სიტუაციის - ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით, რაც არის „ფემიციდის“ (ქალთა მიმართ ძალადობის) გახშირებული შემთხვევები და სამწუხაროდ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან სწორი რეაგირება განახორციელონ ამ საკითხებზე, მოწოდების სიმალლეზე ვერ დგანან და მოუწოდა მამაკაც კოლეგებს ამ კამპანიაში ჩართვისაკენ, რადგან მათი აზრი და სიტყვა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეიძლება ერთ-ერთი გადამწყვეტი იყოს.

ისაუბრა მომავალი 2023 წლის ბიუჯეტის განხილვაზე და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიც ითხოვს, განსაკუთრებულ ჩართულობას მოქალაქეების, თუმცა სამწუხაროდ უკვე რამდენიმე თვეა ბათუმის საკრებულო თავს არიდებს რეგლამენტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, ამომრჩეველთა მოსმენის წესს არ მართავს, ეგრეთ წოდებულ „ღია კარის“ სხდომას, ამიტომ კიდევ ერთხელ საჯაროდ მოგიწოდებთ, „ღია კარის“ სხდომა ჩავატაროთ იმიტომ, რომ მოვისმინოთ ამომრჩევლის აზრი ბიუჯეტთან და საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

ასევე ისაუბრა „ფულის შეგროვების“ კამპანიაზე, რომელიც ეხებოდა ბავშვის - ანიტა შანთაძის ჯანმრთელობის მდგომარეობას. თანხა გროვდებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროა თანხის დამატება და ითხოვა შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობა სარეზრვო ფონდებიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, რადგან რიგითი მოქალაქეების აქტივობა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მთლიანი თანხა შეგროვილიყო ბავშვის სამკურნალოდ.

ასევე ითხოვა მშენებარე საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების გადახედვის თაობაზე და აღნიშნა, რომ ზამთარი მოვიდა და ბევრ ჩვენ თანამოქალაქეს უწევს ცივ სახლებში ყოფნა, იმის გამო, რომ სახლებს, ეგრეთ წოდებულ ახალაშენებულ კორპუსებს ჩაბარების პროცესი არ გაუვლია ბათუმის მერიაში. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ ბუნებრივი აირის შეყვანა სახლებში და არის ძალიან ცუდი სიტუაცია. ამ მხრივ უნდა ვიქონიოთ განსაკუთრებული რეაქცია საკრებულომ, რომ ბათუმის მერიამ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და ზამთარში ადამიანები არ „გაიყინონ“ იმის შიშით, რომ ელექტროენერჯის საფასურის უზარმაზარი გადასახადი მოუვათ თვის ბოლოს. ითხოვა ამ მხრივ შეაბამისი ზომების მიღება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცვლილება არ შეესაბამება ევროპულ ქარტიას, რომელთან შესაბამისობაში უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და რომ თამაშის წესები იცვლება იმის მიხედვით, თუ ქართულ ოცნებას როდის გაუჭირდება, არის მიუღებელი.

საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ დიდხანია ისმის ოპოზიციის მხრიდან პროტესტი, თუ როგორ ინგრევა ეს ქვეყანა, რა საშინელ მდგომარეობაში გვიწევს ცხოვრება და საბედნიეროდ ასე არ არის. ამ ქვეყანაში ძალიან სასიამოვნოა ცხოვრება, სოციალური პროგრამებია, ინფრასტრუქტურა ვითარდება, იაფი სახლები შენდება, ბავშვების სწავლა-განათლების დაფინანსება ხდება და ა.შ. მოკლედ ორიენტირებულია ეს ქვეყანა და ხელისუფლება, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული.

ასევე ისაუბრა ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ და აღნიშნა, რომ ფარნავაზ მეფის ქუჩაზე არის საკმაოდ დიდი საცობი, განსაკუთრებით პიკის საათებში და შესაბამის

სამსახურებს თხოვა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, გორგილაძის ქუჩაზე ბასლანის იქნას გამოყენებული მანქანების მოძრაობის განსატვირთად. ასევე ბარათაშვილის და გორგილაძის ქუჩაზე, 31 დეკემბრის და ბაგრატიონის ქუჩების კუთხეში ძალიან დაზიანებულია ასფალტის საფარი, რაც უნდა შეკეთდეს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა და განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, წარმოადგინა განკარგულების პროექტი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში და პრივატიზაციის გეგმაში ცვლილების თაობაზე და აღნიშნა, რომ ემატება 2 ობიექტი, 2 მიწის ნაკვეთი, ქალაქ ბათუმში, აბაშიძის პირველ შესახვევში და ადლიის ჩიხი N20-ში მდებარე 27 კვადრატი მიწის ნაკვეთი, რომლებიც მომიჯნავე მიწის ნაკვეთებია. მათი შეფასება მოხდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ და შეფასების თანახმად შეგვაქვს ნუსხაში, რათა მოხდეს მათი პრივატიზება, შემდგომ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ და აღნიშნა, რომ განკარგულებით ვსაზღვრავთ პანორამული ბორბალის და მის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურს, რომელიც შეადგენს 435 000 ლარს. გარკვეულ პერიოდში იყო ნაკლები შეფასება, თუმცა ვაჭრობის შედეგად წინა წლებში მიღებულ იქნა მაღალი შეფასება, ამიტომ გამოგვაქვს მაღალი შეფასებით, რაც ბოლო აუქციონის წესით დაფიქსირდა ვაჭრობის შედეგად და წარმოგიდგენთ აღნიშნული ფასით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 3. „ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსათვის“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ავარიული სახლების პროგრამის ფარგლებში 4 მისამართის ძველი ავარიული სახლების დემონტაჟისა და მათ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტები, რომლის გამოცხადებით სახელმწიფო შესყიდვებში უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ეს მისამართებია: ხიმშიაშვილის ქ.N94 და N96-ში არსებული ძველი ავარიული სახლების დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 21 000 000 (ოცდაერთი მილიონი) ლარს; კახაბრის ქ.N30-ში არსებული ძველი ავარიული სახლი, რომლის დემონტაჟის და ახლის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 15 960 000 (თხუთმეტი მილიონ ცხრაას სამოცი ათასი) ლარს; ეგრეთ წოდებული „შანხაის“ დასახლება, რომლის ღირებულება შეადგენს 33 000 000 (ოცდაცამეტი მილიონი) ლარს და 26 მაისის ქ.N13-ში არსებული ჩამონგრეული სახლის ნაცვლად ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 8 200 000 (რვა მილიონ ორასი ათასი) ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელების შემდგომ, ეგრეთ წოდებულ „შანხაის“ დასახლებაში მივიღებთ 324 კეთილმოწყობილ, სრულად გარემონტებულ ბინას, ამათგან გასაცემი გვექნება 145 ბინა, დანარჩენი 179 ბინა გადავა საბინაო ფონდში, ასევე ხიმშიაშვილის ქუჩაზე ავაშენებთ 180 ერთეულ სრულად გარემონტებულ ბინას, 40 ბინა გადაეცემა ადგილობრივ ოჯახებს, ხოლო 140 ბინა ჩაირიცხება საბინაო

ფონდში, კახაბრის 30-შიც აშენდება 180 ერთეული სრულად გარემონტებული ბინა, 37 ბინას გაცემთ ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, 143 ბინა ჩაირიცხება საბინაო ფონდში, ხოლო რაც შეეხება 26 მაისის ქ.N13, იქ აშენებული ყველა ბინით დაკმაყოფილდება ადგილობრივი მაცხოვრებლები. ჯამური ღირებულება აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის არის 78 000 000 (სამოცდათვრამეტი მილიონი) ლარი. კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, რადგან 78 მილიონი ლარი გადასახდელების 5 პროცენტს აღემატება, ჩვენ ვითხოვთ საკრებულოს თანხმობას აღნიშნული შესყიდვის გამოსაცხადებლად. აღნიშნული მშენებლობები იქნება მშენებლობა-განვადების პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ 78 მილიონი ლარის 75% გადაიხდის სამუშაო წლებში და არასამუშაო წლებში კი მოხდება დარჩენილი 25%-ის გადახდა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ე ვ ს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ნაკაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს, რადგან ძალიან კარგადაა მოფიქრებული, დაზღვეულია ყველა რისკი, თუნდაც დამთავრების მხრივ. არც ერთი პატარა კომპანია აღნიშნულ რისკებში მონაწილეობას არ მიიღებდა და თავისი თანხის 25% მშენებლობის დასრულებამდე არ გააჩერებს, გამორიცხული თემაა და პრაქტიკაშიც არ გვხვდება. დიდი კომპანია, რომ ასეთ ტენდერში შემოვიდეს უნდა იყო სოლიდური თემა. ღიად, გამჭვირვალედ მოხდა ბაზრის შესწავლა შესყიდვების საიტზე. 5 დიდი კომპანია უკვე გამოეხმაურა და სხვა კომპანიებიც გამოეხმაურება ამ თემას, შეიძლება უცხოური კომპანიაც იყოს. ეს ყველანაირად დადებითად და კარგად შედგენილი პროექტია. ყველას მოუწოდა, რომ მხარი დაუჭირონ აღნიშნულ პროექტს.

საკრებულოს წევრი, ნატალია ძიძიგური გამოეხმაურა ზურაბ ნაკაიძის აზრს და განაცხადა, რომ სრულად რისკებს ვერ დავაზღვევთ, ფორს-მაჟორულ სიტუაციას ნუ გამორიცხავთ, პანდემიას არავინ არ ელოდებოდა. რაზედაც მიიღო პასუხი, რომ ფორს-მაჟორი ცაკლე თემაა და მაგას არ გულისხმობს საერთოდ არავინ არასოდეს, არც ბიზნესმენი, არც იურისტი, არც ეკონომისტი, არც დაზღვევის კომპანია. რისკებში ფორს-მაჟორი არასოდეს არ იგულისხმება.

საკრებულო წევრმა, ნატალია ძიძუგურმა ასევე მომხსენებელს მიმართა შეკითხვით, თუ რისთვის გაერთიანდა, ერთიანობაში რატომ გამოცხადდა ეს ტენდერები, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვა ცხადდება თავისი სავარაუდო ღირებულებიდან. შესაბამისად, თუ გამოვაცხადებდით ცალ-ცალკე ვერენაირად ვერ გამოვიყენებდით განვადების პრინციპებს, ვერ გავითვალისწინებდით საკრედიტო ხაზს, რომელიც უნდა ჰქონდეს კომპანიას. სატენდერო წინადადების დროს კომპანიის მიერ რომელი თანხაც იქნება დაფიქსირებული, იმ თანხის 20% აღნიშნულ კომპანიას უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიშზე ან საკრედიტო ხაზი დამტკიცებული, იმიტომ, რომ დააზღვიოს ის პროცესები, მშენებლობები, თუ რაღაც შეფერხებით წავა და კომპანიას ჰქონდეს თავისი ფინანსური რესურსი, ასევე ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყავდეს შესაბამისი კვალიფი-

ცირებული „სტაფი“ და იმუშაოს ოთხივე მისამართზე ერთად. ეს არის ჩვენი პრინციპული პოზიცია, რომ ოთხივე მისამართზე ერთად შეძლოს ამ კომპანიამ, ვინც იქნება გამარჯვებული, სამუშაოების წარმოება და მათ შორის ჩაშლილ ვადებში უზრუნველყოს სამუშაოების დამთავრება. 26 მაისის ქ. N13-ში სამუშაოები დასრულდება 18 თვეში მაქსიმუმ, ხიმშიაშვილის და კახაბრის ქუჩაზე 2023-2024 წლებში, ხოლო ე.წ. „შანხაის“ დასახლებაში დასრულდება 2023-2025 წლებში. ბოლო 25% გადაიხდება შემდგომ არასამუშაო წლებში და შესაბამისად მშენებლობა გამოვა განვადების პრინციპით. ამ ყოველივეს, რომ აკმაყოფილებდეს კომპანია უნდა იყოს მაღალკვალიფიციური. ასეთი კომპანიები საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზარზე არსებობენ. უკვე 6 კომპანია გამოეხმაურა. შესყიდვების სააგენტოზე ოფიციალურად არის გაგზავნილი კვლევა ჩვენი კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ და შესაბამისი გამოხმაურებებიც არის. ტენდერიც იქნება კონკურენტუნარიანი.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ თენგიზ აფხაზავამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს სრულყოფილი, გააზრებულიად ჩამოყალიბებული, სერიოზული კვლევების შედეგად მომზადებული საკითხის წარმოდგენისთვის, დასმულ კითხვებზე ამომწურავი პაუხისთვის და საზოგადოებას განუმარტა, რომ სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა 26 მაისის ქუჩაზე, იმ უბედური შემთხვევის შედეგად ჩამონგრეული სახლის ადგილზე, ანალოგიური სახლის აშენება და იმ ოჯახების შესახლება, ვინც დაკარგა საცხოვრებელი ბინები, მაგრამ რაც შეეხება ე.წ. „შანხაის“ დასახლებას, სახელმწიფო გარკვეულ თანხას დახარჯავს სოციალური სახლის აშენებაში, სადაც იქ მაცხოვრებელი ყველა ოჯახი მიიღებს ბინას, ხოლო სახელმწიფოს მიერ გახარჯული თანხის ამოღება თავისუფლად მოხდება იმ გამოთავისუფლებული ადგილის საინვესტიციო პროექტისთვის გადაცემით. მათ შორის: 1. გაიყიდება აუქციონზე ქონება, როგორც მიწა, კონკრეტული პირობებით; 2. დამატებით საბინაო ფონდს მიიღებს ქალაქი.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩია აღნიშნა, რომ საკითხში მნიშვნელოვანია კვალიფიკაცია, კომპეტენცია, მაგრამ ეს გაერთიანებული ტენდერი არ ტოვებს გამჭვირვალობის განცდას, რომ ეს პროცესი ორიენტირებულია იმ სახლში მცხოვრებ ადამიანებზე, ვიდრე რაღაც პირად ინტერესებზე, რომ 78 მილიონის გაერთიანება შეიძლება იყოს კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული ტენდერი. 33 და 45 მილიონიან სამუშაოებს კონკრეტული კომპანიებიც აიღებდნენ და გაერთიანება კი კითხვებს აჩენს. ნებისმიერი ტენდერი, რომელიც გამოცხადდება უნდა გააკეთოს კვალიფიციურმა კომპანიამ, იქნება ეს 100 ლარიანი ტენდერი, თუ 100 მილიონიანი, ანუ თანხების გადიდებით კვალიფიკაციის მინიჭება არ არის კარგი ტონი, რაზედაც მომხსენებელმა

განმარტა, რომ შესყიდვების სააგენტოს აქვს სარეკომენდაციო ფორმულა, რომლითაც ითვლება გამოცდილების ფაქტორი - ღირებულების ნაწილშიც და შესრულებული სამუშაოების ნაწილშიც. აქედან გამომდინარე 8 მილიონი ლარის გამოცდილების მქონე კომპანიას 80 მილიონი ლარის გამოცდილებას ვერ ჩავუდებთ, რადგან ფორმულას შეეწინააღმდეგება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ წარმატებები უსურვა პროექტის განხორციელებას, რადგან უპირველესად მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსახლეობის დროულად ღირსეულ საცხოვრებელში გადასვლა და აღნიშნა შესყიდვების სააგენტოს სარეკომენდაციო ფორმულასთან დაკავშირებით, რომ ორ ან სამ ნაწილად ტენდერის გაყოფის საშუალებას არ იძლევა რაღაც სარეკომენდაციო ფორმულა არ არის მართებული, რადგან ბევრი საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია და საჭიროების შემთხვევაში ამ ფორმულის შეცვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ერთ კომპანიაზე ამ დიდი მოცულობის პროექტის დაკისრებით და მერიის ამ უზარმაზარი უფლებამოსილების შეთავსებით ჩნდება დამატებითი რისკები, როგორც კორუფციის, ისე ერთ კომპანიაზე დამოკიდებულების. შესაბამისად საკითხი უფრო მეტად სამსჯელო და დასაფიქრებელია.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ თენგიზ აფხაზავამ განმარტა, რომ ნებისმიერ კომპანიებს, რომლებიც აკეთებენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო პროექტებს საერთოდ არ აინტერესებთ 8, 5, თუ 3 მილიონიანი პროექტები და როდესაც მაგალითად ჩვენ უნდა ჩავდეთ 8 მილიონი და აქედან 1 600 000 უნდა გააჩეროს კომპანიამ, იქ ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გააზრებულია.

საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, დავით მახარაძემ დასვა კითხვა მცირეთანხიან და შეუსრულებელ ტენდერებთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ავარიული სახლების ნაწილში არ არის შეუსრულებელი პროექტები, იყო გამოცხადებული 6 და 7 მილიონიანი ტენდერები, ასევე 2 მილიონ ნახევრიანი ტენდერი არსებული სახლების გამაგრებით სამუშაოზე. ჯერ-ჯერობით არ არის შეუსრულებელი /ჩავარდნილი პროექტები ავარიული სახლების ნაწილში. პირგასამტეხლოები (დარჩენილი სამუშაოების 0,5%) გათვალისწინებულია ნებისმიერ ხელშეკრულებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ საკითხი არგუმენტირებულად არის წარმოდენილი, პაუზები ზუსტი და გათვლილია იმდენად, რომ კითხვის ნიშნები მოსახლეობას არ დარჩება. როგორც გაერთიანებულ ისე ცალ-ცალკე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებზეც შეიძლება გაჩნდეს ეჭვები და თუ ეჭვის გზით ვივლით, ყველაფერი შეიძლება

კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, მაგრამ მხოლოდ საქმის პრინციპიდან გამომდინარე უნდა ვხედავდეთ რა არის შემოთავაზებული მომხსენებლის მიერ, რით არის არგუმენტები გამყარებული და თუ ის მისაღებია, ქალაქი საერთოა, პოზიცია/ოპოზიცია ყველა ერთხმად უნდა დადგეს იქ, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობაზეა საუბარი.

საკრებულოს წევრმა, გიორგი ლომთათიძემ დასვა კითხვა იჯარებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ თუ არის შესაძლებლობა გადაიხედოს საიჯრო ღირებულებები. 26 მაისის ქუჩა N13-ში მცხოვრებლებს ეწურებათ ერთ წლიანი ხელშეკრულებების ვადა იმ ბინების, სადაც არიან გადასული დროებით საცხოვრებლად და თუ არის შესაძლებელი ქირის თანხის სამომავლოდ გაზრდა, დღეის მდგომარეობით არსებული ბინის ქირის ღირებულების შეფასებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 2 (ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკითხი ეხება მუნიციპალური კლუბის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემას, სადაც საუბარია სამართლებრივ რეგულაციაზე, ფუნქციონალურად ეს შპს გაუქმდება, მაგრამ ფუნქციურად ის გადადის სპორტული ცენტრის დაქვემდებარებაში. წყალბურთის შპს-ში 6 შტატი იყო, დირექტორი, იურისტი, ბუღალტერი და 3 მწვრთნელი. რადგან სპორტულ ცენტრს ჰყავს იურისტი და ბუღალტერი, ამდენად შეიკვეცება ეს შტატები. აღნიშნული რეორგანიზაციით მოხდება თანხების მობილიზაცია.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნატალია ზოიძემ ისაუბრა საკითხის საკრებულოს შესაბამის კომისიის ხდომავზე ამომწურავად განიხილვის თაობაზე და აღნიშნა, რომ უახლოეს დროში ყინულის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ახალი ოლიმპიური აუზის აშენება. სწორედ წინსწრებით ხდება ეს ცვლილებები და იმავე სპორტულ კომპლექსს უქვემდებარებენ. ასევე ისაუბრა 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებზე, რომლებიც ფაქტიურად ექვემდებარებიან იმ მასობრივი სპორტის ხელშეწყობას, რასაც ბათუმის მერია კურირებს და იმ კომპლექსში, სადაც სექციური განყოფილებებია წყალბურთიც უნდა იყოს ჩასმული, რადგან მომავალში შესაძლებლობა ქონდეს, იქაურ ბალანსზე არსებული აუზი გამოიყენოს ყოველგვარი იჯარის გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მეგი ხალვაში)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის დამტკიცების შეახებ წესში ცვლილებას, რომელშიც მოიაზრება დადგენილების მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალის დასახელება amxanagoba.ge შეიცვალოს დასახელებით bmabatumi.gov.ge. აღნიშნული ცვლილება არის გამოწვეული სახელმწიფო სტრუქტურების ge-დან gov.ge-ზე გადასვლით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ.N6-ში მდებარე შენობაზე ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვიხილავთ საპატიო ბათუმელის - ქალბატონ ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე საკითხს. ქალბატონი ლამარა გახლდათ აჭარის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის წევრი, წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის კინომატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად, აჭარის კულტურის მინისტრად და აჭარის ტელევიზიის დირექტორად. ასევე ქალბატონი ლამარა დაჯილდოებულია საპატიო ბათუმელის წოდებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის დამსახურებას ქალაქ ბათუმის წინაშე და მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ.N6-ში განთავსდეს მემორიალური დაფა. ასევე აქ არის წარმოდგენილი აღნიშნულ მისამართზე არსებული ამხანაგობის თანხმობის ხელმოწერილი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ა.გვიანიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი, საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის Nგ-15.15221505 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. საკრებულოს წევრთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, შეიცვალა კვოტირების რიცხვთა რაოდენობა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ბიუროს მიერ დამტკიცებული იქნა ახალი კვოტირების წესი, შესაბამისად ძალადაკარგულად ცხადდება საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის მიღებული განკარგულება.

აზრი

გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიძიგურმა მოითხოვა ცვლილების დაკონკრეტება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ახალარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიის წევრთა კვოტირების განსაზღვრას ამტკიცებს საკრებულო განკარგულებით, ხოლო შემდგომ როცა მოხდება ცვლილება კომისიის წევრთა შემადგენლობაში და კვოტირების რაოდენობაში, ამტკიცებს საკრებულოს ბიურო. გამომდინარე აქედან, რადგან გვაქვს საკრებულოს ბიუროს მიერ 2022 წლის 15 ნოემბერს დამტკიცებული საკრებულოს კომისიის წევრთა კვოტა, ამიტომ აღარ წარმოადგენს საჭიროებას ადრე, 2022 წლის 30 მაისს დამტკიცებული კვოტირების განკარგულება და შესაბამისად ცხადდება ძალადაკარგულად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ა.გვიანაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მადონა თურმანიძე